RETHINKe (Reform of Education Thru International Knowledge exchange - განათლების რეფორმა ცოდნის საერთაშორისო გაცვლის საშუალებით)

http://rethink.fa.ulisboa.pt/index.php/general-info/tempus-objectives

ტემპუსის IV ფაზა

სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის, პროექტის კოორდინატორის ნინო ჩაჩავას

ა ნ გ ა რ ი შ ი

TEMPUS-ის ევროგრანტების ფარგლებში 2013-2017 წწ-ში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიმდინარეობდა RETHINKe (Reform of Education Thru International Knowledge exchange) პროექტი (54417 8-T EM PUS-1-2013-1-PT-TEMPUS-JPCR, საგრანტო ხელშეკრულება 2013-5076).
პროექტის მიზნების, ამოცანების, აქტივობებისა და შედეგების მოკლე მიმოხილვა.

RETHINKe პროექტში მონაწილეობას იღებდა 7 ევროპული უნივერსიტეტი, 15 უნივერსიტეტი პოსტსაბჭოთა სივრციდან.

საქართველოს მხრიდან პროექტში ჩართული იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პროექტის მიზანი: სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ინოვაციური კომპონენტებისგან ქვაკუთხედში გარემოს დაცვის კომპეტენციების გაძლიერება და მიმართვა დამსაქმებლის, ბიზნესგარემოსა და თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებისადმი. ეს მოიცავდა ისეთ ქმედებებს, როგორიცაა ორმაგი ხარისხის პროგრამების მომზადება, არსებული კურიკულუმების სვოტ ანალიზი, უნივერსიტეტებს შორის ხელშეკრულების მომზადება ორმაგი ხარისხის პროგრამის განხორციელების მიზნით, სტუდენტებისა და პროფესორების მობილობა (გაცვლითი პროგრამა), დოქტორანტებსა და პროფესორებში ინგლისური ენის დონის გაუმჯობესების მიზნით სასწავლო კურსების ორგანიზება, სახელმძღვანელოების მომზედება და სხვ.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროექტის მსვლელობისას შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე მომზადდა ინგლისურენოვანი სადოქტორო პრგრამა - მდგრადი ურბანისტიკა, რომელიც ამჟამად აკრედიტაციის პროცესშია (კვალიფიკაცია - ურბანისტიკის დოქტორი), პროგრამის ხელმძღვანელია ნინო ჩაჩავა. პროგრამას აქვს პროექტის ფარგლებში ლისაბონის

უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ორმაგი ხარისხის მოპოვების შესაძლებლობა.

- შემუშავების პროცესშია სამაგისტრო ქართულ და ინგლისურენოვანი პროგრამა „ჰიდროგეოლოგია და გარემოს დაცვა, ხელმძღვანელი ნ. ფოფორაძე. რომელიც თანხვედრილია კორუნას, ესპანეთი უნივერსიტეტის გარემოს დაცვის პროგრამასთან. კორუნას უნივერსიტეტთან მომზადებულია ხელშეკრულების სამუშაო ვერსია მომავალში ორმაგი სამაგისტრო ხარისხის მინიჭების მიზნით (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი - გარემოს დაცვის მაგისტრი).

- პროექტის ხელშეწყობის შედეგად უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში შეტანილი იქნა ცვლილებები - ურბანისტიკა გამოყოფილი იქნა ცალკე დარგად, შეიქმნა ახალი კვალიფიკაცია „ურბანისტი“, ახალი წოდება ურბანისტიკის დოქტორი;
- საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა ლისაბონის უნივერსიტეტთან ერთად მოამზადა ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო: „პროპორცია-ურბანული განვითარება-გარემოს დაცვა“ (PROPORTION & URBANISM & ENVIRONMENT);
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მომზადდა ორენოვანი, ინგლისურ-ქართული სახელმძღვანელო - „ ურბანული სივრცის მდგრადი განვითარების პრობლემები საქართველოში” (The Problems of Urban Environment Sustainable Development in Georgia.), ISBN 978-9941-20954-3 გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი 2017წ.
- პროექტის ფარგლებში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა პირველი საერთაშორისო კონფერენცია - უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია: სტრატეგიები და გამოწვევები - IHE 2017- Internationalization in Higher Education: strategies and challenges. კონფერენციის ორგანიზატორები იყო არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტი. გამოიცა კონფერენციის მოხსენებათა კრებული, ISBN 978-9941-27-549-4, თბილისი 2017
- პროექტის ფარგლებში გრანტის სახით მიღებული იქნა 10 ევროპული წარმოების ლეპტოპი, რომლებიც აქტიურად გამოიყენება ურბანისტიკის სადოქტორო პროგრამის განვითარების, გაშუქებისა და დანერგვის მიმართულებით, სერვერი და ეკრანი, რომელიც ასევე ჩართულია არქიტექტურულ სამეცნიერო კვლევებში;
- ინსტიტუტის მიერ ურბანული სადოქტორო პროგრამისთვის ბიბლიოთეკის ოთახსა და ურბანული ეკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში გამოიყო სპეციალური სივრცეები დოქტორანტებისთვის, სადაც ისინი შეძლებენ მუშაობასა და სათანადო ლიტერატურისა და მასალების შეგროვებას. სათავსოები აღჭურვილია კომპიუტერებით, არის ინტერეტ წვდომა;

- გრანტის ფარგლებში დოკუმენტაციის წარმატებული წარმოების მიზნით შეძენილი იქნა - ოფისის პროგრამების სახელმძღვანელო
- ლისაბონის უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტებს შორის მომზადდა და ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება, რომელიც მასში ჩამოყალიბებული პირობების შესრულების შემთხვევაში, დოქტორანტებს აძლევს საშუალებას მიიღონ ორმაგი ხარისხი - ერთდროულად სტუ-სა და ლისაბონის უნივერსიტეტების აკადემიური დოქტორის წოდება. ასეთი ხელშეკრულება და სადოქტორო პროგრამის ფორმატი წარმოადგენს ტექნიკური უნივერსიტეტში ორმაგი ხარისხის პროგრამების განხორციელების პლატფორმას;
- პროექტის ფარგლებში ასევე კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელდა ურბანისტიკის სადოქტორო პროგრამის - პროფესორის ნინო ჩაჩავას მივლინება ლისაბონის უნივერსიტეტში;
- პროექტის ფარგლებში განხორციელდა შერჩევითი კონკურსი და ახალგაზრდა მეცნიერი მალხაზ სულაშვილი სამი თვით გრანტის ფარგლებში მივლენილი იქნა ლისაბონის უნივერსიტეტში. უნდა აღვნიშნოთ, რომ გარდა ინტენსიური მუშაობისა ლისაბონის უნივერსიტეტში, მან თავი გამოიჩინა საზოგადოებრივი აქტივობითაც, გაიმარჯვა პორტუგალიის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში, რაც შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ჩვენი RETHINKe - ის კიდევ ერთი მორიგი გამარჯვება საერთაშორისო ასპარეზზე;
- RETHINKe პროექტისა და რუსთაველის ფონდის ხელშეწყობით სტუ-ს არქიტექტურის ფაკულტეტის დოქტორანტმა თამარ ხოშტარიამ ლისაბონის უნივერსიტეტში გაიარა მოკლევადიანი სამეცნიერო პრაქტიკა; http://gtu.ge/News/7541/, http://gtu.ge/Eng/News/?ELEMENT_ID=7542

- პროექტის ფარგლებში ჩატარდა ინგლისურენოვანი ერთთვიანი კურსი 60 პედაგოგისთვის და ექვსთვიანი კურსი 10 პროექტში მონაწილე პედაგოგისა და ადმინისტრაციული პირისთვის, რაც იყო შესანიშნავი წინაპირობა ორმაგი ხარისხის პროგრამების წარმატებული განვითარებისა და დანერგვისთვის;
- აღნიშნული პროექტის ფარგლებში შეიქმნა მდგრადი ურბანისტიკის სადოქტორო პროგრამის საიტი https://sites.google.com/gtu.ge/tempus-rethinke/about-program
- გრანტის საშუალებით შესაძლებელი გახდა პროგრამის წარდგენა ფართო საზოგადოების წინაშე - დაიბეჭდა ბუკლეტები, ტრიპლეტები და ფლაიერები;
- აღნიშნული აქტივობები და rethinke - ის პროექტის წარმატებულმა განხორციელებამ ხელი შეუწყვეს ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტს ერაზმუს პლუსის ფარგლებში ახალი გრანტის მიღებაში, რაც მოიცავს სტუ-ს არქიტექტურის ფაკულტეტის 2 სტუდენტის (მაგისტრანტი ან დოქტორანტი) 5 თვიან და 2 პედაგოგის 5 დღიან მობილობას ლისაბონის უნივერსიტეტში. აღნიშნული პროექტი საზეიმოდ იქნა ვიზირებული

უნივერსიტეტების რექტორების ორმხრივი ხელმოწერით პროექტის ფარგლებში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე - უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია: სტრატეგიები და გამოწვევები - IHE 2017;

- პროექტის მსვლელობისას საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა უმასპინძლა პროექტის 1ფართო სხდომას (Kick of meeting)-2014 წელი, ლისაბონისა და კორუნას უნივერსიტეტების წამყვან პროფესორებს - 2016, 2017 წლები;
- პროექტმა დიდი მადლიერება გამოხატა ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს და შეიტანეს თავიანთი წვლილი მის განხორციელებაში. მათ გადაეცათ სპეციალური სერტიფიკატები (პროექტის კოორდინატორის, სტუს რექტორისა და სტუ-ს კოორდინატორის ხელმოწერით).
- საქართველოში მაკმილანის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა RETHINKe-ის პროექტს. მან უსასყიდლოდ ჩაუტარა ტრეინინგები პროექტის ინგლისური კურსების პედაგოგს მაია გამსახურდიას და უზრუნველყო უნივერსიტეტი 10 სტუდენტური და ორი სამასწავლებლო წიგნით.

https://sites.google.com/gtu.ge/tempus-rethinke/home

http://www.macmillanenglish.com/international/georgia/